



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თხილნარის განძი

თხილნარის განძი, ბრინჯაოს ხანის განძი, ძვ. წ. XIV-XIII სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩნდა 1994 სოფ. თხილნართან, მდ. ჭოროხის მარცხ. ნაპირზე. წარმოადგენს დასავლურ ქართ. (კოლხური) კულტურისათვის დამახასიათებელ ე. წ. მდნობელის განძს. მის შემადგენლობაში იყო 44 ნივთი: ბრინჯაოს ცულები (მ. შ. ერთერთი პირველი სახეობის მასიური კოლხ. ცული), სამივე ტიპის სეგმენტური იარაღი, ე. წ. წუნი (ცული, რ-საც ჩამოსხმის დროს დასრულებული სახე არ მიუღია და ხელახალი გადადნობისათვის შეუნახავთ) და ზოდების ნატეხები. თ. გ-ში შედიოდა აგრეთვე ცულების გორდა პირები, ყუისა და სატარე ხვრელის ნატეხები.

თ. გ-ის აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ დას. საქართველოში მსხვილი მეტალ. კერების გარდა, მოქმედებდა ლითონჩამომსხმელი სახელოსნოებიც.

მასალა დაცულია ბათუმის არქეოლ. მუზეუმში.

ა. კახიძე